# თქვენი ბავშვის ვაქცინები

# ინფორმაცია მშობლებისა და მეურვეებისთვის, რომლებიც ჩავიდნენ ირლანდიაში სხვა ქვეყნებიდან

ამ ბროშურაში ნახავთ ინფორმაციას თქვენი ბავშვის ვაქცინების შესახებ. ვაქცინები ეხმარება თქვენს შვილს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, იცავს მას პრევენციის შესაძლებლობის მქონე ინფექციური დაავადებებისგან. ირლანდიის ჯანდაცვის სამსახური (Heath Service Executive) ქმნის ვაქცინაციის გუნდებს, რათა შესთავაზონ ვაქცინაცია კლინიკების მეშვეობით ზოგიერთადამიანს ვაქცინას შესთავაზებენ მობილური ვაქცინაციის ჯგუფები. კომპენსირების ვაქცინაციის ჯგუფის წევრი შეიძლება დაგიკავშირდეთ თქვენი შვილის ვაქცინაციის შესახებ.

**რატომ არის ვაქცინები მნიშვნელოვანი?**

ვაქცინები იცავს ჩვილებს და ბავშვებს ინფექციებისგან, რამაც შეიძლება ისინი მძიმედ დაავადოს. ძალიან პატარა ჩვილები ყველაზე მეტად არიან ამ ინფექციების რისკის ქვეშ, ამიტომ ვაქცინები იწყება რაც შეიძლება ადრე.

ირლანდიაში ვაქცინაციის განრიგი იწყება 2 თვის ასაკიდან და რეკომენდებული ვაქცინები ტარდება 5-ზე მეტი ვიზიტით ოჯახის ექიმთან (მას ეწოდება ზოგადი პრაქტიკოსი ანუ GP), როდესაც თქვენი ბავშვი არის 2, 4, 6, 12 და 13 თვის ასაკში. ირლანდიაში ჩვილებისთვის მიცემული ვაქცინები იცავს მათ ინფექციებისგან, რომლებიც გავრცელებულია ან ძალიან სერიოზულია ირლანდიაში.

| | | |
|---|---|---|
| 2 თვე | ვიზიტი 1 | 6 1-ში + PCV + MenB + როტავირუსი<br>3 ინექცია + პერორალური წვეთები |
| 4 თვე | ვიზიტი 2 | 6 1-ში + MenB + როტავირუსი<br>2 ინექცია + პერორალური წვეთები |
| 6 თვე | ვიზიტი 3 | 6 1-ში + PCV + MenC<br>3 ინექცია |
| 12 თვე | ვიზიტი 4 | MMR + MenB<br>2 ინექცია |
| 13 თვე | ვიზიტი 5 | Hib/MenC + PCV<br>2 ინექცია |

**რომელი ვაქცინებია რეკომენდებული ირლანდიაში?**

ბავშვებისთვის რეკომენდებულია ვაქცინები, რათა დაიცვან ისინი ინფექციებისგან, რომლებიც გავრცელებულია ირლანდიაში და რამაც შეიძლება ისინი სერიოზულად დააავადოს.

**რა განსხვავებაა სხვა ქვეყნებში გაკეთებულ ვაქცინებსა და ირლანდიაში გაკეთებულ ვაქცინებს შორის?**

მრავალი ვაქცინა, რომელიც ირლანდიაში კეთდება, ასევე კეთდება ბევრ სხვა ქვეყანაშიც. მაგალითად უმეტეს ქვეყნებში ბავშვებს სთავაზობენ დიფტერიის, პოლიომიელიტის, ტეტანუსისა და წითელას საწინააღმდეგო ვაქცინებს.

შეიძლება არსებობდეს განსხვავებები ირლანდიაში რეკომენდებულ ზოგიერთ ვაქცინისთვის, სხვა ქვეყნებთან შედარებით ეს იმიტომ ხდება, რომ შეიძლება არსებობდეს განსხვავებები ირლანდიაში გავრცელებულ დაავადებებსა და სხვა ქვეყნებში გავრცელებულ დაავადებებს შორის. მაგალითად ირლანდიაში ვაძლევთვაქცინას, რომელიც ბავშვებს იცავს მენინგოკოკური B და C დაავადებისგან. ამ ინფექციებმა შეიძლება გამოიწვიოს მენინგიტი და სეპტიცემია. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ვაქცინები არარის იმუნიზაციის განრიგის ნაწილი. მაგრამ ისინი რეკომენდირებულია ირლანდიაში ბავშვების დასაცავადამ ძალიან სერიოზული ინფექციებისგან.

### ჩემს შვილს ყველა ვაქცინა სხვა ქვეყანაში ჰქონდა გაკეთებული. რატომ სჭირდება მას სხვა ვაქცინები ახლა, როდესაც ის ირლანდიაშია?

იმის გამო, რომ თქვენი შვილი ახლა ირლანდიაში ცხოვრობს, მან უნდა დაიცვას ირლანდიის ვაქცინაციის გრაფიკი. ირლანდიაში რეკომენდებული ვაქცინები იცავს ბავშვებს იმ დაავადებებისგან, რომლებიც გავრცელებულია ირლანდიაში ან რომლებსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

თქვენი შვილი უნდა „დაეწიოს" ირლანდიაში რეკომენდირებულ ვაქცინებს. მას არსჭირდება ვაქცინების გამეორება, რომლებიც უკვე მიიღოსხვა ქვეყანაში.

### რა დაავადებებისგან იცავს თქვენს შვილს ეს დამატებითი ვაქცინები?

### როტავირუსის პერორალური ვაქცინა

როტავირუსი არის ვირუსული ინფექცია, რომელიც იწვევს დიარეას და ღებინებას ჩვილებში და მცირეწლოვან ბავშვებში. ბავშვების უმეტესობა გამოჯანმრთელდება სახლში, მაგრამ ზოგიერთს სჭირდება საავადმყოფოში გადაყვანა. ყოველწლიურადირლანდიაში 5 წლამდე ასაკის დაახლოებით 880 ბავშვი მოჰყავდათსაავადმყოფოში როტავირუსის ინფექციით სანამ როტავირუსის ვაქცინა იქნებოდა შემოღებული. ეს რიცხვი მკვეთრადშემცირდა როტავირუსის ვაქცინის შემოღების შემდეგ.

როტავირუსის ვაქცინა შეიძლება მიეცეს მხოლოდ8 თვემდე ასაკის ჩვილებს.

### მენინგოკოკის B (MenB) ვაქცინა

MenB ვაქცინა ეხმარება თქვენი შვილის დაცვას მენინგოკოკური B დაავადებისგან. ამ სერიოზულმა ბაქტერიულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს მენინგიტი (თავის ტვინის გარსის ანთება) და სეპტიცემია (სისხლის მოწამვლა). მენინგოკოკური B ინფექცია იწვევს ირლანდიაში მცირეწლოვან ბავშვებში მენინგიტითგამოწვეული ინფექციების უმეტესობას და სიკვდილიანობას. MenB ვაქცინა არ კეთდება 2 წლის შემდეგ.

### მენინგოკოკური C ინფექციის (MenC) ვაქცინა

MenC ვაქცინა ეხმარება თქვენი შვილის დაცვას მენინგოკოკური C დაავადებისგან. ეს არის ასევე სერიოზული ბაქტერიული ინფექცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მენინგიტი (თავის ტვინის გარსის ანთება) და სეპტიცემია (სისხლის მოწამვლა). ასევე შეიძლება იყოს სხვა

ვაქცინები, რომლებიც რეკომენდებულია თქვენი ბავშვისთვის. თქვენი ექიმი ან ექთანი მოგცემთ რჩევას ამის შესახებ.

**პნევმოკოკური ინფექციის (PCV13) ვაქცინა**

PCV13 ვაქცინა იცავს პნევმოკოკის ბაქტერიითგამოწვეული დაავადებებისგან.

ამ ბაქტერიამ შეიძლება გამოიწვიოს მენინგიტი (თავის ტვინის გარსის ანთება), პნევმონია (ფილტვის ინფექცია) ან სეპტიცემია (სისხლის მოწამვლა).

**რა არის ამ ვაქცინების გვერდითი მოვლენები?**

ვაქცინაციის შემდეგ გვერდითი მოვლენები უნდა გაგრძელდეს მხოლოდრამდენიმე დღის განმავლობაში

**menB ვაქცინის შემდეგ** თქვენს ბავშვს შეიძლება განუვითარდეს სიცხე (მაღალი ტემპერატურა) ან შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი, სიწითლე და შეშუპება ინექციის ადგილზე.

**menC ვაქცინის შემდეგ** თქვენს ბავშვს შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი, სიწითლე და შეშუპება ინექციის ადგილზე, ან ჰქონდეს სიცხე ან იყოს გაღიზიანებული.

**როტავირუსის ვაქცინის შემდეგ** თქვენს შვილს შეიძლება ჰქონდეს მსუბუქი დიარეა. ძალიან იშვიათადმას შეიძლება ჰქონდეს მუცლის ტკივილი ან გამონაყარი.

**სადშემიძლია ჩემი ბავშვის აცრა?**

ირლანდიაში ოჯახის ექიმები (GP-ები) ან მიგრანტების კომპენსირების ვაქცინაციის პროგრამა ახორციელებს ვაქცინაციას ლტოლვილი და დაცვაზე განაცხადის მქონე ბავშვებისთვის. პრაქტიკოსი ექთანი ჩვეულებრივ უკეთებს ბავშვებს ვაქცინებს, ოჯახის ექიმის ხელმძღვანელობით შეიძლება იყოს სხვა კლინიკები, რომლებიც ორგანიზებულია ჯანდაცვის სამსახურის მიერ, რათა ბავშვებს მისცენ მათთვის საჭიროვაქცინები.

**როგორდავნიშნოშეხვედრა ოჯახის ექიმთან?**

თქვენ უნდა დაჯავშნოთშეხვედრა ოჯახის ექიმთან, ინფორმაციისთვის, თუროგორიპოვოთოჯახის ექიმი, იხილეთინფორმაცია ბმულზე https://www2.hse.ie/services/find-a-gp/.

თუარგყავთოჯახის ექიმი, ადგილობრივი კომპენსირების ვაქცინაციის ჯგუფი დაგიკავშირდებათ

**რა ხდება ვაქცინაციის ვიზიტზე?**

ვაქცინების გაკეთებამდე ადგილობრივი კომპენსირების ვაქცინაციის ჯგუფის წევრი, ოჯახის ექიმი ან პრაქტიკოსი ექთანი გაგესაუბრებათიმ ვაქცინების შესახებ, რომლებიც თქვენს ბავშვს სჭირდება და დაგელაპარაკებითთითოეულვაქცინაზე. ვაქცინების გაკეთების შემდეგ ადგილობრივი კომპენსირების ვაქცინაციის ჯგუფის წევრი, ოჯახის ექიმი ან პრაქტიკოსი ექთანი მოგცემთ„ვაქცინის პასპორტს“, დოკუმენტს, რომელშიც დეტალურადიქნება აღწერილი თქვენი ბავშვისთვის გაკეთებული ვაქცინები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეინახოთთქვენი ვაქცინის

პასპორტი, როგორც თქვენი ბავშვის ვაქცინაციის ისტორიის ჩანაწერი. მნიშვნელოვანია, რომ ეს ჩანაწერი თან იქონიოთ ვაქცინაციის შემდგომ ვიზიტებზე.

**უნდა გადავიხადო ვაქცინაციის თანხა?**

არა. ირლანდიაში ვაქცინაცია უფასოა.

**არის რეკომენდებული რაიმე ვაქცინა უფროსი ასაკის ბავშვებისთვის?**

როდესაც ბავშვები სკოლაში დადიან, რეკომენდებულია მათთვის შემდეგი ვაქცინების გაკეთება

პატარა ბავშვები (ასაკი 5):

MMR და დიფტერიის, ტეტანუსის, ყივანახველას და პოლიომიელიტის ვაქცინების ბუსტერ დოზა, რომლებიც შეთავაზებულია სკოლაში.

საშუალო სკოლის მე-6 კლასი (ასაკი 12):

HPV, MenACWY (მენინგოკოკური ACWY) და დიფტერიის, ტეტანუსის და ყივანახველას ვაქცინები შეთავაზებულია სკოლაში.

**არის თუ არა რეკომენდებული რაიმე ვაქცინა ზრდასრულებისთვის?**

დიახ. ზრდასრულებისთვის, რომლებსაც არ მიუღიათ ზოგიერთი ვაქცინა, რეკომენდებულია მათი მიღება. მაგალითად MMR ვაქცინა, რომელიც იცავს წითელას, ყბაყურას და წითურასგან, რეკომენდებულია ზრდასრულებისთვის, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ ეს ვაქცინა. გაესაუბრეთ ადგილობრივი კომპენსირების ვაქცინაციის ჯგუფის წევრს, თქვენს ოჯახის ექიმს (GP) ან ექთანს.

**რამდენიმე შეკითხვა მაქვს ვაქცინაციასთან დაკავშირებით ვის შემიძლია გავესაუბრო?**

ესაუბრეთ ადგილობრივი კომპენსირების ვაქცინაციის გუნდის წევრს, თქვენს ოჯახის ექიმს ან ექთანს. თუ სხვა კლინიკები არის ორგანიზებული ჯანდაცვის სამსახურის მიერ ბავშვების ვაქცინაციისთვის, შეგიძლიათ ასევე ესაუბროთ ამ კლინიკების ექიმს ან ექთანს.

**სად შეიძლება გავიგო მეტი?**

ეწვიეთ www.immunisation.ie